„ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმის და ნაციონალიზმის გააზრება და მის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“

2019 წლის იანვრის სოციალური მედიის მონიტორინგის შედეგები

მედია მონიტორინგის მიმდინარე ანგარიში მომზადდა დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მიერ (DRI), პროექტის “ულტრამემარჯვენე ექტრემიზმისა და ნაციონალიზმის გააზრება და მის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში” - ფარგლებში. მიმდინარე პროექტის ფინანსური მხარდაჭერა უზრუნველყოფილია ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მიერ. პუბლიკაციაში ასახული პოზიციები და შეხედულებები ეკუთვნის პროექტის გუნდს და არ უნდა მოხდეს მისი აღქმა ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ოფიციალურ მოსაზრებად.

მონაცემთა დამუშავება და მედია მონიტორინგი: ქეთევან მურღულია

გამოცემაზე პასუხისმგებელი: უჩა ნანუაშვილი, თამარ ხიდაშელი

„დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი“

www.democracyresearch.org

ელ.ფოსტა: info@democracyresearch.org

2020

სარჩევი

შესავალი **4**

1. მეთოდოლოგიური ჩარჩო **4**

2. ულტრამემარჯვენე დისკურსის ძირითადი გზავნილები ონლაინ მედიაში **7**

2.1. პრორუსული დისკურსი ონლაინ მედიაში 7

2.2. ანტილიბერალური დისკურსი ონალინ მედიაში 10

3. ულტრამემარჯვენე ჯგუფებისა და მათი ლიდერების ფეისბუქ დისკურსი **12**

3.1. ნაციონალისტურ განწყობათა ეფექტები ულტრამემარჯვენე დისკურსში 13

3.2. ანტილიბერალური რიტორიკა ქართულ ულმტრამემარჯვენე ჯგუფებში 15

4. მედია მონიტორინგის ძირითადი მიგნებები **17**

შესავალი

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს „დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის“ (DRI) ერთ თვიანი მედია მონიტორინგის შედეგების ანალიზს, რომელშიც გაანალიზებულია 2020 წლის იანვარში ულტრამემარჯვენე დისკურსის ძირითადი მახასიათებლები სოციალურ და ონლაინ მედიაში. კვლევა მიმოიხილავს იმ პროპაგანდისტულ და დისკრედიტაციულ საინფორმაციო კამპანიებსაც, რომელიც ულტრამემარჯვენე ჯგუფებისა და ლიდერების მხრიდან მიმართულია მოსახლეობაში ქსენოფობიური, ჰომოფობიური, ანტილიბერალური და ანტიდასავლური განწყობების გაღვივებისკენ.

გარდა ამისა, ანგარიში მიმოიხილავს ულტრამემარჯვენე ჯგუფების აქტივობებსა და სამიზნე ჯგუფებს საქართველოში. კვლევის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა, ასევე, სოციალურ მედიაში ულტრამემარჯვენე ჯგუფების საგარეო-პოლიტიკური დისკურსის დადგენა და მათ მიერ სიძულვილის ენის ტირაჟირების მონიტორინგი.

ძირითადი დაკვირვების სახით შეიძლება ითქვას, რომ ულტრამემარჯვენე ჯგუფები და მათი ლიდერები საქართველოში აქტიურად იყენებენ „ფეისბუქს“, როგორც ხელსაყრელ გარემოს მიმდევრების მოსაზიდად და დეზინფორმაციის გასავრცელებლად. გარდა ამისა, შესამჩნევია მათი მხრიდან ვიზუალური მანიპულაციებისა და სხვადასხვა შინაარსის მითების გავრცელებაც ლიბერალური ღირებულებების წინააღმდეგ, რაც შეიძლება საზოგადოებაში ირაციონალური შიშების გავრცელებას ისახავდეს მიზნად. ქართული ულტრამემარჯვენე ჯგუფები ხშირ შემთვევაში აქტიურად იყენებენ აგრეთვე დასავლეთის ქვეყნებში არსებული ულტრამემარჯვენე პარტიებისა თუ ლიდერების ქსენოფობიურ და ჰომოფობიურ არგუმენტებს.

მიმდინარე მედიამონიტორინგის ფარგლებში ულტრამემარჯვენე დისკურსის დეფინიცია შემდეგი სახისაა: ეს არის იდეოლიგია, რომელიც საკუთარ თავში აერთიანებს ჰომოფობიას, ქსენოფობიას, რასიზმს, ანტისემიტიზმს, ისლამოფობიას და მოზოგენიას.[1]

ანგარიშის შესავალში აღწერილია კვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩო, იდენტიფიცირებულია ულტრამემარჯვენე ძალები და შესწავლილია მათი რიტორიკა საქართველოში. კვლევის დასკვნით ნაწილში შეჯამებულია მედიამონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი ძირითადი მიგნებები.

1. მეთოდოლოგიური ჩარჩო

მიმდინარე კვლევის ფარგლებში გამოყენებულია კონტენტ ანალიზის მეთოდი, რომელზე დაყრდნობითაც შევისწავლეთ ულტრამემარჯვენე ჯგუფებსა და მათ საქმიანობაზე გაშუქებული ინფორმაცია. აქცენტი ძირითადად გაკეთდა იმაზე, თუ როგორ ტირაჟირებენ მედია საშუალებები ულტრამემარჯვენე რიტორიკას და რა სახასიათო ელემენტებს შეიცავს სოციალური ქსელების პლატფორმა ულტრამემარჯვენე დისკურსის წარმოებისას.

[1] Macridis, Roy C. Contemporary Political Ideologies: Movements and Regimes, 4th ed. Glenview: Scott, Foresman and Co., 1989, გვ. 231

წინამდებარე კვლევის მიზანი იყო, შეგვესწავლა სიძულვილის ენის გავრცელების ფაქტები და ის ძირითადი ელემენტები, რომლის გარშემოც ყალიბდება ულტრამემარჯვენე დისკურსი საქართველოში. საკვლევი პრობლემიდან გამომდინარე კი, კვლევის დიზანიად შერჩეულ იქნა დისკურსის ანალიზი.

სწორედ დისკურს ანალიზის მეშვეობით გახდა შესაძლებელი იმის დადგენა, თუ ვინ არის აგრესიული რეფლექსიის ძირითადი სამიზნე და რა სოციალური თუ პოლიტიკური მოვლენების ფონზე ვითარდება ულტრამემარჯვენე რიტორიკა საქართველოში. კონტენტ ანალიზის მეშვეობით კი მოხდა ულტრამემარჯვენე დაჯგუფებებისა და მათი ლიდერების ფეიბუქ სტატუსების შესწავლა და სამოქმედო არეალის განსაზღვრა. კვლევის თვისობრივ ნაწილში გადმოცემული და ასახულია ულტრამემარჯვენე ჯგუფების ძირითადი გზავნილები, პოლიტიკური დისკურსი და სამოქალაქო აქტივობების ერთგვარი ტიპოლოგია.

მიმდინარე მედიამონიტორინგის ფარგლებში შესწავლილ იქნა ის ონლაინ მედია და ფეისბუქ გვერდები, რომლებიც ხშირად ავრცელებდნენ ულტრამემარჯვენე ნარატივებს საქართველოში. ამ გვერდების დიდი ნაწილი გამოირჩეოდა პროპაგანდისტული და ყალბი ინფორმაციის გავრცელებით. შესაბამისად, ანგარიშში მოცემულია ის საკვლევი ობიექტები, რომლებიც მედიამონიტორინგის პერიოდში იყო აქტიური და გამოირჩეოდა ულტრამემარჯვენე ნარატივების გავრცელებით.

მონიტორინგის ფარლგებში საკვლევ ობიექტებად შეირჩა:

1. ცხრა ონლაინ ვებ-გერდი:

1	**News Front Georgia**	https://ge.news-front.info/
2	**საქართველო და მსოფლიო**	http://geworld.ge/ge/
3	**პოლიტიკანო**	https://www.facebook.com/PoliticanoGeorgia/
4	**ალტ-ინფო**	https://alt-info.com/
5	**Kavkazplus.ge**	https://ge.kavkazplus.com/
6	**საქინფორმი**	http://saqinform.ge/
7	**pia**	http://pia.ge/
8	**Tvasazrisi.ge**	https://tvalsazrisi.ge/
9	**სპუტნიკ საქართველო**	https://sputnik-georgia.com/

2. თხუთმეტი ულტრამემარჯვენე ჯგუფის ფეისბუქ გვერდები:

1	**„ნუ გამოლიბერალდები, იაზროვნე“**	https://www.facebook.com/dontbealiberal/
2	**„კარდჰუ“**	https://tinyurl.com/y45xpde8
3	**„რეზონი“**	https://www.facebook.com/rezoni/

4	„ქართული გვერდი”	https://www.facebook.com/QartuliGverdi/
5	„ქართული იდეა“	https://www.facebook.com/gaertianebaQARTULIIDEA/
6	„ანტი-პარადოქსი“	https://www.facebook.com/antiparadox/
7	ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება	https://www.facebook.com/bavshvtauflebebisdatsvissazogadoeba/
8	დადუმებული ქართველობა	https://www.facebook.com/Qartveloba1/
9	,,ლიბერალიზმი შენ მეისპე”	https://www.facebook.com/DaunDeLiberalizmi/
10	ზნეობა	https://www.facebook.com/zneoba.ge/
11	„მსოფლიო საოჯახო კონგრესი“	https://www.facebook.com/wcf10/
12	„თურქეთი ოკუპანტია“	https://www.facebook.com/StopTurkishOccupation/
13	ქართული მარში	https://www.facebook.com/QartuliMarshiGeorgianMarch/
14	geo-pepe	https://www.facebook.com/geopepe01/
15	ალტ-კლუბი	https://www.facebook.com/ALTKLUBI/

კვლევის ფარგლებში მკვლევრის დაკვირვების ქვეშ იყო ულტრამემარჯვენე ლიდერთა (შემდგომში „ლიდერები“) პირადი ფეისბუქ გვერდებიც. კვლევის ობიექტად შეირჩა შემდეგი 12 გვერდი:

1. გურამ ფალავანდიშვილი[2]	https://www.facebook.com/bavshvtauflebebisdatsvissazogadoeba/
2. გეგა ხვედელიძე	https://www.facebook.com/gega.khvedelidze.94
3. კონსტანტინე მორგოშია	https://www.facebook.com/konstantine.morgoshia
4. ლევან ჩაჩუა	https://www.facebook.com/chachualevan1971
5. გულბაანთ რცხილაძე	https://www.facebook.com/gulbaat.rcxiladze.001
6. ბექა ვარდოსანიძე	https://www.facebook.com/beqa.vardosanidze.1
7. ზვიად ტომარაძე	https://www.facebook.com/ztomaradze
8. ბექა რევაზიშვილი	https://www.facebook.com/beqa.revazishvili.7
9. ნიკოლოზ მჟავანაძე	https://www.facebook.com/nikoloz.mzhavanadze
10. სანდრო ბრეგაძე	https://www.facebook.com/sandro.breg
11. ლევან ვასაძე[3]	https://www.facebook.com/wcf10/?epa=SEARCH_BOX

[2] დეკემბრის თვეში დაიბლოკა გურამ ფალავანდიშვლის პირადი ფეისბუქ გვერდი. თუმცა მისი გზავნილების შესწავლა შესაძლებელია „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ ფეისბუქ გვერდზე, სადაც ხშირად აზიარებენ მის მიმართვებს.

[3] ლევან ვასაძეს არ აქვს პირადი გვერდი ფეისბუქზე, თუმცა, მისი გზავნილების შესწავლა

12. დიმიტრი ლორთქიფანიძე	https://www.facebook.com/dimitri.lortkipanidze

მიმდინარე მონიტორინგის ფარგლებში შევისწავლეთ 15 ულტრამემარჯვენე ჯგუფის მიერ ფეისბუქ გვერდებზე გამოქვეყნებული **655** სტატუსი. გარდა ამისა, გავაანალიზეთ 9 ინტერნეტ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული **207** სტატია.

2. ულტრამემარჯვენე დისკურსის ძირითადი გზავნილები ონლაინ მედიაში

საქართველოში ულტრამემარჯვენე ჯგუფების ლიდერები ხშირად არიან ონლაინ მედიის მთავარი და სასურველი რესპონდენტები. შესაბამისად, ონლაინ პლატფორმა ხელსაყრელი გარემოა მათი ქსენოფობიური, ჰომოფობიური და ანტილიბერალური გზავნილების გასავრცელებლად. დაკვირვების ქვეშ მყოფი მედია საშუალებები ხშირად ავრცელებდნენ ყალბ და პროპაგანდისტულ ინფორმაციას ლიბერალიზმის წინააღდეგ. შესამჩნევი იყო ფსევდოპატრიოტული მოსაზრებების ტირაჟირება და სიძულვილის ენის შემცველი სტატიებიც. გარდა ამისა, ის მედია საშუალებები, რომლებიც აშშ-სა და ევროპის დემონიზაციას ახდენენ, ხშირად აპელირებდნენ რუსეთ-საქართველოს შორის მეგობრული ურთიერთობების აღდგენასა და ნორმალიზებაზე.

საქართველოს სტრატეგიული პარტნიორების მიმართ ნეგატიური გზავნილების გავრცელება განსაკუთრებით შესამჩნევია თურქეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მისამართით. დაკვირვების ქვეშ მყოფი მედია საშუალებების მხრიდან თურქეთი წარმოჩენილია, როგორც ისტორიული მტერი, ხოლო ამერიკა დესტაბილიზაციის წყარო, რომელიც საქართველოს განიხილავს სამხედრო პოლიგონად და არა პარტნიორად.

ულტრამემარჯვენე დისკურსში ონალინ პლატფორმაზე შესამჩნევია შეთხზული ამბების გავრცელება და რეალური ფაქტების დამახინჯება. დასავლური ღირებულებები წარმოჩენილია, როგორც შეუთავსებელი ქართულ ტრადიციებთან, კულტურასთან და მართლმადიდებლობასთან. სწორედ ამის ფონზე ვითარდება ჰომოფობიური და ქსენოფობიური დისკურსიც. ამასთანავე, რიგ შემთხვევებში ხდება საქართველოსა და რუსეთს შორის არსებულ რელიგიურ და კულტურულ მსგავსებებზე ხაზგასმა.

2.1. პრორუსული ონლაინ მედია

საქართველოში პრორუსული გზავნილებისა და დეზინფორმაციის გავრცელების ძირითად პლატფორმას წარმოადგენენ ონლაინ-მედია საშუალებები - „საქინფორმი“, „ივერიონი“, „საქართველო და მსოფლიო“, „სპუტნიკ-საქართველო“, „News front Georgia”, „ისარი“ და „თვალსაზრისი.“

შესაძლებელია „მსოფლიო საოჯახო კონგრესის“ ფეისბუქ გვერდზე, სადაც ხშირად აზიარებენ ლევან ვასაძის ვიდეო მიმართვებს.

იანვარში გამოიკვეთა ფაქტებით მანიპულაციისა და დეზინფორმაციის რამდენიმე შემთხვევა. მაგალითად, ონლაინ გამოცემა „საქართველო და მსოფლიომ“ 15 იანვარს გამოაქვეყნა პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული ცენტრის ხელმძღვანელის და ულტრამემარჯვენე ლიდერის დიმიტრი ლორთქიფანიძის ქსენოფობიური შინაარის ინტერვიუ, რომელშიც მან განაცხადა, რომ საქართველოში 134 ათასი ბინა ირანელების საკუთრებაა.[4] ამავე თემაზე გამოქვეყნდა სტატია 7 იანვარს კიდევ ერთ ონლაინ მედიაში „თვალსაზრისი“, სადაც საუბარია 100 ათასი ირანელის მიერ შეძენილ კერძო ქონებაზე საქართველოში. სტატია გამოირჩევა ანტიირანული და ქსენოფობიური გზავნილებით.[5] **გავრცელებული ინფორმაცია არასწორია.** 2019 წელს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიამ გამოაქვეყნა მიგრაციის პროფილი, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ შეძენილი უძრავი ქონების სტატისტიკას მოიცავს. აღნიშნულ ანგარიშში მითითებულია, რომ საქართველოში 2015-2018 წლებში ირანის მოქალაქეების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება საერთო ჯამში 5 598-ს შეადგენს.[6] შესაბამისად სიცრუეა, რომ ირანის მოქალაქეებმა საქართველოში 100 000-ზე მეტი ბინა შეიძინეს.[7] აღნიშნული დეზინფორმაცია ანტიირანული განწყობებით გავრცელდა ულტრამემარჯვენე ფეისბუქ გვერდზეც „კარდჰუ“.



ანტიდასავლური გზავნილები იყო შესამჩნევი კიდევ ერთი მედიასაშუალების „News Front Georgia“-ის მიერ 12 იანვარს გამოქვეყნებულ სტატიაში[8] სათაურით „ირანელებმა ბრიტანელ ელჩს ჭკუა ასწავლეს”, რომელიც ეხმიანება ირანში გაერთიანებული სამეფოს ელჩის რობერტ მაკეირის საპროტესტო აქციაზე დაკავების ფაქტს. სტატიაში ხაზგასმულია, რომ სწორედ ელჩი მაკეირი იყო ირანში უკრაინული ავიახაზების თვითმფრინავის ჩამოგდებასთან დაკავშირებული საპროტესტო აქციების ორგანიზატორი, რის გამოც ის დააკავეს. პრორუსული და კრემლისტური მედიასაშუალებების მტკიცება, რომ **ელჩი მაკეირი ხელმძღვანელობდა საპროტესტო აქციებს არის დეზინფორმაცია**. BBC-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ელჩი ავიაკატასტროფაში დაღუპულთა საჯარო სამძიმარს ესწრებოდა და ის დაკავებულ იქნა საელჩოში დაბრუნების დროს. გაერთიანებულ სამეფოში ირანის საელჩოს განცხადებით კი, ელჩის დაპატიმრება იყო გაუგებრობა. დეზინფორმაცია

[4] საქართველო და მსოფლიო, 15 იანვარი, „დიმიტრი ლორთქიფანიძე: საქართველოში 134 ათასი ბინა ირანის მოქალაქეების საკუთრებაა,“ ხელმისაწვდომია: http://bit.do/ftDLN

[5] თვალსაზრისი, 7 იანვარი, “ირანელები თბილისში სტუმრად კი არა, უკვე საკუთარ სახლებში ჩამოდიან,“ ხელმისაწვდომია: http://bit.do/ftDPa

[6] საქართველოს 2019 წლის მიგრაციის პროფილი, 2019, ხელმისაწვდომია: http://bit.do/fvEzi

[7] მითების დეტექტორი, 16 იანვარი, „2 მითი უცხოელების მიერ საქართველოში უძრავი ქონების ფლობის შესახებ,“ ხელმისაწვდომია http://bit.do/ftD5Z

[8] News Front Georgia, 12 იანვარი, „ირანელებმა ბრიტანელ ელჩს ჭკუა ასწავლეს,“ ხელმისაწვდომია: http://bit.do/ftEkg

ბრიტანეთის ელჩის მიერ საპროტესტო აქციების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით გავრცელდა ისეთი მედია საშუალებების მიერ, როგორებიცაა: Russia Today, Ria Novosti და gazeta.ru.

იანვრის თვეში პრორუსული გზავნილები შესამჩნევი იყო „საქართველო და მსოფლიოს“ პარტნიორ ვებგვერდ „isari.ge”-ზეც. მისი დომენი რეგისტრირებულია ჰამლეტ ჭიპაშვილის სახელზე და გამოირჩევა მკვეთრად ანტიდასავლური რიტორიკით. ჰამლეტ ჭიპაშვილი ხშირად თანამშრომლობს პრორუსულ მედია საშუალებებთან, მათ შორის, „საქინფორმთან“, „ივერიონთან“, და „საქართველო და მსოფლიო“-თან.[9] 25 იანვარს ჰამლეტ ჭიპაშვილმა isari.ge-ის ვებგვერდზე[10] გამოაქვეყნა სტატია სათაურით „ჩიხში მომწყვდეული ქვეყანა“, სადაც შეაფასა საქართველო-რუსეთის ურთიერთობები საბჭოთა კავშირის ნგრევიდან დღემდე და აღნიშნა, რომ ქვეყანაში ანტირუსულ განწყობებს დასავლეთი ავრცელებს სატელიტი არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით. გარდა ამისა, აღნიშნულ სტატიაში შესამჩნევია ნატოსა და ევროკავშირის დემონიზაცია. პრორუსული გზავნილები იყო ჰამლეტ ჭიპაშვილის მიერ 19 იანვარს გამოქვეყნებულ სტატიაშიც[11] სათაურით „ახალი წლის განვლილი 15 დღე“, სადაც პოლიტოლოგმა შეაფასა რუსეთის მნიშვნელობა საქართველოსთვის და ის მნიშვნელოვან პარტნიორად წარმოგვიდგინა. „რუსეთი ანგარიშგასაწევი ქვეყანაა. ასეთიც რომ არ იყოს, უდიდესია, ბირთვულია და საუკეთესო ბაზარია საქართველოს მიერ წარმოებული პროდუქციის გასაღებისთვის. ასეთ ბაზარს ხელიდან არვინ გაუშვებს“ - ვკითხულობთ სტატიაში.

ვებგვერდზე isari.ge ხშირად ქვეყნდება „საქართველო და მსოფლიოს“ და „საქინფორმის“ სტატიები. ასევე ხშირად ზიარდება რუსული პროპაგანდისტული პრესის - rosbalt.ru, svpressa.ru და regnum.ru-ს საინფორმაციო მასალა. შესაბამისად, შეგვიძლია არსებული ონლაინ მედია მივიჩნიოთ კრემლისტური პროპაგანდის ონლაინ პლატფორმად საქართველოში.

იანვრის თვეში პრორუსული გზავნილები შესამჩნევი იყო ვებგვერდზე News Front Georgia, რომელიც ქართულ მედია სივრცეში 2019 წლის ოქტომბერში გამოჩნდა და ცნობილია, როგორც კრემლის მედია საშუალება. ვებგვერდს საქმიანი კავშირები აქვს პრო-რუსულ აქტორებთან - „ევრაზიული კავშირი“, „ევგენი პრიმაკოვის ფონდი“, „საქართველო და

[9] საზოგადოებრივი პროექტი damoukidebloba.com, 2015, ნატო ძველიშვილი, თაზო კუპრეიშვილი, „რუსული გავლენა ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიაზე,“ ხელმისაწვდომია http://bit.do/funqn

[10] ისარი, 25 იანვარი, „ჩიხში მომწყვდეული ქვეყანა“, ხელმისაწვდომია: http://bit.do/funEw

[11] ისარი, 19 იანვარი, „ახალი წლის განვლილი 15 დღე,“ ხელმისაწვდომია: http://bit.do/fuoMe

მსოფლიო“ და „პოლიტიკანო“.[12] იანვრში News Front Georgia-ს სარედაქციო პოლიტიკა მიმართული იყო ფილანტროპ ჯორჯ სოროსის წინააღმდეგ. 25 იანვარს აღნიშნულ ვებგვერდზე გამოქვეყნდა სტატია[13] სათაურით “სოროსი გამწარებულია და კიდევ ერთ მილიარდს გაისვრის – მისეული მსოფლიო არ შედგა”. ონლაინ ვებგვერდზე ცინიკურად არის შეფასებულია ჯორჯ სოროსის გამოსვლა დაოსის ეკონომიკურ ფორუმზე და ხაზგასმულია, რომ „სოროსის მიერ ნაოცნებარი გლობალისტური, ერთ ცენტრს დაქვემდებარებული პოლიტიკური სისტემა მსოფლიოში არ შედგა“.

სოროსი გამწარებულია და კიდევ ერთ მილიარდს გაისვრის – მისეული მსოფლიო არ შედგა

პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი

2.2. ანტილიბერალური დისკურსი ონლაინ მედიაში

ულტრამემარჯვენე დისკურსში ანტილიბერალური გზავნილებით განსაკუთრებით გამოირჩევა ალტ-ინფოს სარედაქციო გუნდი. მათ მიერ გავრცელებული ინფორმაცია ხშირად ეყრდნობა გადაუმოწმებელ კვლევებსა და მანიპულაციებს. ვებგვერდი ხშირად ავრცელებს ჰომოფობიურ, ქსენოფობიურ და ისლამოფობიურ გზავნილებსაც. იანვრში გაგრძელდა ანტისაიმიგრაციო დისკურსიც. ალტ ინფოს სტატიებს ხშირად აზიარებენ ულტრამემარჯვენე ფეისბუქ გვერდები - „ანტიპარადოქსი“, „Geo Pepe”, „ანტილიბერალური ლიგა“ და „ანტილიბერალური კლუბი.“

ალტ-ინფო იანვარში განსაკუთრებით ხშირად უსვამდა ხაზს მიგრანტების კრიმინალურ წარსულს. ზოგადად, ალტ-ინფოს გუნდი მუდმივად აპელირებს იმ საფრთხეებზე, რაც მიგრანტთა ჯგუფებმა ევროპას შეუქმნეს, რაც შეიძლება ემსახურებოდეს ირაციონალური შიშების დათესვას მოსახლეობაში და ქსენოფობიური განწყობების გაღვივებას. ამ მხრივ აღსანიშნავია 10 იანვარს ალტ-ინფოს გვერდზე გამოქვეყნებული სტატია[14] სათაურით, „ბრიტანეთში ინდონეზიელ მიგრანტს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს 48 მამაკაცის გაუპატიურების გამო“. საუბარია მიგრანტის მიერ ჩადენილ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულზე. აღნიშნული სტატიის პირველ წყაროს წარმოადგენს ბრიტანეთის სამაუწყებლო კორპორაცია BBC, რაც ადასტურებს მის ნამდვილობას, თუმცა აღნიშნულ შემთხვევაში

[12] მითების დეტექტორი, 1 ნოემბერი, „News-Front Georgia - კრემლის ახალი საინფორმაციო ფრონტი საქართველოში“- ხელმისაწვდომია: http://bit.do/fpHsh

[13] News Front Georgia, 25 იანვარი, “სოროსი გამწარებულია და კიდევ ერთ მილიარდს გაისვრის – მისეული მსოფლიო არ შედგა”- ხელმისაწვდომია: http://bit.do/fupni

[14] ალტ-ინფო, 10 იანვარი, „ბრიტანეთში ინდონეზიელ მიგრანტს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს 48 მამაკაცის გაუპატიურების გამო“, ხელმისაწვდომია http://bit.do/fuv7Y

ხაზგასასმელია ის, რომ „ალტ ინფომ“ სტატიას შეუცვალა სათაური და მიგრანტის წარმომავლობას გაუსვა ხაზი. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს „ალტ-ინფოს“ ქსენოფობიურ სარედაქციო პოლიტიკას.

იანვარში გააქტიურდა ისლამოფობიური დისკურსიც. ამ მხრივ აღსანიშნავია ისლამის ტერორიზმთან და ფუნდამენტურ რადიკალიზმთან გაიგივება. 25 იანვარს ალტ-ინფოს გვერდზე გამოქვეყნდა სტატია[15] „საფრანგეთის შიდა უსაფრთხოების სამსახურიდან გაჟონილი საიდუმლო დოკუმენტის თანახმად, ქვეყანაში 150-მდე რაიონი რადიკალი ისლამისტების გავლენის ქვეშ არის“. ალტ-ინფოს გუნდი გაზეთ „Journal du Dimanche“-ზე დაყრდნობით ავრცელებს ინფორმაციას საფრანგეთის შიდა უსაფრთხოების გენერალური დირექტორატის კონფიდენციალურ ანგარიშზე, სადაც 150 რაიონი მონიშნულია, როგორც რადიკალურ ისლამთან დაკავშრებული საშიში გეოგრაფიული არეალი.

ანტილიბერალური გზავნილები შესამჩნევია „პოლიტიკანოს“ სარედაქციო გუნდშიც. მათი მხრიდან ლიბერალიზმი გაიგივებულია მთავრ საფრთხესთან და უკიდურესი გაჭირვების მიზეზთან. 31 იანვარს „პოლიტიკანომ“ გამოაქვეყნა სოციალური მომსახურების სააგენტოს უახლესი მონაცემები, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოში 83 065 მოზარდი „ბავშვის კვების ბარათით“ სარგებლობს. „პოლიტიკანოს“ გუნდმა აღნიშნული ეკონომიკური სიდუხჭირე დაუკავშირა ნეოლიბერალიზმს. „დროა ეკონომიკური წყობა შეიცვალოს, დროა სოციალისტური რეფორების გატარება დავიწყოთ, დროა ხალხს ღირსეული ცხოვრების უფლება დავუბრონოთ. ნეოლიბერალიზმი კლავს“ - აღნიშნულია პოლიტიკანოს გვერდზე. ზოგადი დაკვირვების სახით უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკანოს გუნდი ლიბერალიზმს ამერიკის შეერთებულ შტატებთან და გლობალიზაციასთან აიგივებს. შესაბამისად, ხდება ორივე ელემენტის დემონიზაცია.

3 იანვარს „პოლიტიკანო“ გამოეხმაურა ერაყის პრემიერ-მინისტრის, ადელ აბდულ მაჰდის განცხადებას, რომლის თანხმადაც, ამერიკის მიერ ირანელი გენერლის მკვლელობა შეფასებულია, როგორც ქვეყნის სუვერენიტეტის უხეში დარღვევა და საფრთხე ახლო აღმოსავლეთისთვის. აღნიშნული ინტერვიუს პოლიტიკანოს გუნდი შემდეგნაირად გამოეხმაურა - „აშშ თავის ტრადიციებს ვერ ღალატობს. აშშ მშვიდობის ერთ-ერთი მთავარი მტერია მსოფლიოში, ბომბები - კი მისი მთავარი მოკავშირე“.

[15] ალტ-ინფო, 25 იანვარი, „საფრანგეთის შიდა უსაფრთხოების სამსახურიდან გაჟონილი საიდუმლო დოკუმენტის თანახმად, ქვეყანაში 150-მდე რაიონი რადიკალი ისლამისტების გავლენის ქვეშ არის,“ ხელმისაწვდომია http://bit.do/fuwdV

3. ულტრამემარჯვენე ჯგუფებისა და მათი ლიდერების ფეისბუქ დისკურსი

ულტრამემარჯვენე გვერდების მიმდევრების რაოდენობა:



სოციალურ ქსელ ფეისბუქს ულტრამემარჯვენე ჯგუფის ლიდერები და მიმდევრები მიმდევრების მოსაზიდად და ძირითადი გზავნილების გასავრცელებლად იყენებენ. მედიამონიტორინგის ფარგლებში გამოვლინდა, რომ სოციალურ ქსელში მათი გზავნილები მკვეთრად ჰომოფობიური, ანტილიბერალური, ქსენოფობიური, ისლამოფობიური და ანტიდასავლურია. გარდა ამისა, საქართველოში ულტრამემარჯვენე დისკურსი პოპულისტური და პროპაგანდისტულია. შესამჩნევია კონსერვატიული შინაარსის

ნაციონალისტური ხაზიც. გვხვდება ანტისაოკუპაციო გზავნილებიც, თუმცა ამ შემთხვევაში აქცენტი კეთდება თურქეთზე, როგორც საქართველოს ისტორიულ მტერზე. სწორედ ეს ფაქტორი უკავშირდება ისლამოფობიურ დისკურსს. ულტრამემარჯვენე ჯგუფები ცდილობენ ისლამი გააიგივონ ძალადობასთან და ტერორიზმთან, რომელიც საფრთხის შემცველია საქართველოსთვის.

ულტრამემარჯვენე ჯგუფებისთვის ფეისბუქი ხელსაყრელი გარემო აღმოჩნდა საზოგადობაში ევროსკეპტიციზმის დანერგვისა და ანტილიბერალური განწყობების გასაღვივებლად. თვალშისაცემია ევროპისა და ამერიკის წინააღმდეგ კრემლისტური შეთქმულების თეორიებისა და მითების გავრცელებაც. გარდა ამისა, ულტრამემარჯვენე ჯგუფები საქართველოში აქტიურად ეწევიან ანტიდასავლურ პროპაგანდას. ამ მხრივ თვალსაჩინოა ნატოსა და ევროკავშრის დისკრედიტაცია, სადაც „დასავლეთი“ წარმოდგენილია, როგორც გარყვნილებისა და ქართველობის გადაგვარების უმთავრესი მიზეზი.

ულტრამემარჯვენე გვერდების მოწონების (ე.წ. „ლაიქების“) რაოდენობა:



3.1. ნაციონალისტური ნარატივები

საქართველოში ულტრამემარჯვენე დისკური ეთნოცენტრისტული და ექსტრემისტულ-ნაციონალისტური მახასიათებლებით გამოირჩევა. ამ შემთხვევაში ნაციონალიზმი გაერთიანებულია ისეთ საკითხებთან ერთად, როგორიცაა ანტილიბერალიზმი, შეუწყნარებლობა, ნაციონალისტური გზავნილებისა და ანტითურქული განწყობების ურთიერთკავშირი. ნაციონალისტური დისკურსი განსაკუთრებით დამახიასიათებელია ფეისბუქ გვერდებისთვის - „თურქეთი ოკუპანტია“, „დადუმებული ქართველობა“ და „კარდჰუ“. ულტრამემარჯვენე დისკურსში შესამჩნევია ისტორიული ავტორიტეტების გავლენებიც.

ფეისბუქ გვერდები - „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება“ და „ქართული იდეა“, რომლებიც ჰომოფობიური და ქსენოფობიური რიტორიკით გამოირჩევიან, ხშირად აპელირებენ ერთი მხრივ, ეროვნული საკითხებზე, ხოლო მეორე მხრივ, ქრისტიანული ფასეულობების შენარჩუნებაზე. „ქართული ტრადიციებისა“ და მართლმადიდებლობის დაცვის მოტივი ხშირად გასდევს ფონად ულტრამემარჯვენე ლიდერების - გურამ ფალავანდიშვილის („ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ თავჯდომარე) და დავით ლორთქიფანიძის (ახალგაზრდული ცენტრის „ზნეობის“ ლიდერი) გამოსვლებს.

ახალგაზრდული ცენტრი „ზნეობა“ ფეისბუქ გვერდზე 30 იანვარს გამოეხმაურა საქართველოს პარლამენტის მიერ „ბავშვთა უფლებების კოდექსის“ მიღებას. მათ კოდექსს ოჯახების დამანგრეველი და ბავშვების გამრყვნელი დებულება უწოდეს. გარდა ამისა, იანვარში მათ ფეისბუქ გვერდზე გააქტიურდა კამპანია აბორტების წინააღმდეგ. „ზნეობამ“ ხელისუფლებას აბორტის კანონით აკრძალვა მოსთხოვა. მათი მხრიდან აბორტი შეფასებულია, როგორც ბავშვების მკვლელობა.



ნაციონალისტური იდეები ხშირად ვრცელდება საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის „ქართული იდეის“ ფეისბუქ გვერდზეც. იანვრში შესამჩნევი იყო კონსერვატიული ჯგუფების უალტერნატივო მესამე ძალად წარმოჩენის მცდელობა.[16] გარდა ამისა, აპელირება ხდებოდა ქრისტიანულ ფასეულობებზე და რელიგიის მჭიდრო კავშირზე საქართველოს ისტორიასთან. მართლმადიდებლობა „ქართული იდეის“ ჯგუფის წევრის გეგა ხვედელიძის მხრიდან წარმოდგენილია, როგორც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის საფუძველი.[17] ხოლო ლიბერალიზმი წარმოჩენილია ქართული ტრადიციისა და კულტურის მთავარ პრობლემად.

[16] ქართული იდეა, 30 იანვარი, “ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა უახლოეს პერიოდში ხელისუფლებაში ეროვნული ძალები მოვიდნენ,“ ხელმისაწვდომია http://bit.do/fuyrR
[17] ქართული იდეა, 30 იანვარი, „ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია,“ ხელმისაწვდომია http://bit.do/fuysS



ეროვნული ფასეულობების მოტივით შექმნილი კიდევ ერთი ულტრამემარჯვენე ჯგუფის „კარდჰუს“ აქტივობა სოციალურ ქსელში მიმართულია ნაციონალიზმის, როგორც იდეოლოგიის მხარდაჭერაზე. იანვარში თვალსაჩინო იყო მათი ანტისაიმიგრაციო დისკურსი. გვერდი „კარდჰუ“ გამოეხმაურა და რამდენჯერმე გააზიარა ორგანიზაცია „ერი და სახელმწიფოს“ ლიდერის ზვიად ტომარაძის ინტერვიუ „აზიელი მიგრანტების მასობრივად შემოდინებასთან დაკავშირებით“. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ზვიად ტომარაძეა საქართველოში უცხოელთათვის ბინადრობის უფლების გაცემის აკრძალვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ინიციატივის ავტორი.



3.2. ანტილიბერალური ნარატივები ქართულ ულტრამემარჯვენე ჯგუფებში

დაკვირვების ქვეშ მყოფი ულტრამემარჯვენე ჯგუფები ღიად უპირისპირდებიან ლიბერალიზმს. ხშირად მათი აგრესია მიმართულია იმ ჯგუფების თუ ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებიც ლიბერალური ღირებულებების მატარებლები არიან. ფეისბუქ გვერდების „ალტ-კლუბი“, „ლიბერალიზმი, შენ მეისპე“, „ზნეობა“ და „Geo pepe“ დისკურსი ხშირად ანტილიბერალურია. მათი ძირითადი საინფორმაციო წყაროა ვებ-გვერდი https://alt-info.com. აღნიშნული გვერდებისთვის ლიბერალიზმი გაიგივებულია მართლმადიდებლური ფასეულობებისა და ქართული ტრადიციების მტრობასთან. გარდა ამისა, ისინი გამოირჩევიან ჰომოფობიური და ქსენოფობიური გზავნილების გავრცელებითაც.

ულტრამემარჯვენე დისკურსში ასევე შესამჩნევია დისკრედიტაციული კამპანიების წარმოება მკვეთრად დასავლური ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების წინააღმდეგ. იანვარში აგრესიის

სამიზნე ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI) გახდა. 16 იანვარს NDI-ის მიერ საქართველოს მოსახლეობის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნებას ულტრამემარჯვენე ფეისბუქ გვერდების მხრიდან ორგანიზაციის მწვავე კრიტიკა მოჰყვა. NDI-ისა და მისი დირექტორის ლორა თორნტონის წინააღმდეგ ფეისბუქ გვერდებმა „ლიბერასტული სენი“, „ანტილიბერალური ლიგა“, „ანტიპარადოქსი“ და „pressტიტუცია“ წამოიწყეს ორგნიზებული კამპანია, რომლის ფარგლებშიც გავრცელდა ინფორმაცია NDI-ის და ლორა თორნტონის პოლიტიკურად მიკერძოებულობისა და არასანდოობის შესახებ. ულტრამემარჯვენე აქტივისტმა ბექა ვარდოსანიძემ და ფეისბუქ გვერდმა „pressტიტუციამ“ გამოაქვეყნეს ტაბულას მთავარი რედაქტორის თამარ ჩერგოლეიშვილისა და თორნტონის ერთობლივი ფოტო, რითაც შეეცადნენ, ხაზი გაესვათ ოპოზიციური პარტიისა და ლორა თორნტონის პოლიტიკური ურთიერთკავშირისთვის.

საზოგადოებრივი აზრის გამოსაკვლევად „ალტერნატიული” კვლევა ჩაატარა ულტრამემარჯვენე გვერდმა „ანტი-პარადოქსი” და დაადგინა, რომ მისი გამომწერები NDI-ის არ ენდობიან. ხოლო ფეისბუქ გვერდმა „ანტილიბერალური ლიგა“ NDI-ის ნაციონალურ მოძრაობასთან აფილირების სადემონსტრაციოდ მიმი გამოიყენა, რომელზეც დავით ბაქრაძე, ირმა ნადირაშვილი და ნოდარ მელაძე არიან გამოსახულები.[18]

ლონდონში ჰომოფობიური დანაშაულების მატების სტატისტიკა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ზრდა რადიკალურ რელიგიურ ჯგუფებს დაუკავშირა

[18] მითების დეტექტორი, 23 იანვარი, „NDI-ს დისკრედიტაციის ორგანიზებული კამპანია online და offline,“ ხელმისაწვდომია http://bit.do/fuwPe

ულტრამემარჯვენე გვერდმა „ალტ კუბი“. 10 იანვარს გვერდმა გამოაქვეყნა ლონდონში ჰომოფობიური დანაშაულების მატების სტატისიკა. „ანუ, რეალობა გვიჩვენებს, რომ ლიბერალიზაცია არათუ ვერ უზრუნველყოფს სექსუალური უმცირესობების დაცულობის ზრდას, არამედ ლიბერალიზაციის შედეგად ძლიერდებიან და უკონტროლოები ხდებიან რადიკალური რელიგიური უმცირესობები“ - ვკითხულობთ პოსტში. აღნიშნული ინფორმაცია არის მანიპულაცია, ვინაიდან გაერთიანებული სამეფოს შინაგან საქმეთა ოფისის მიერ გამოქვეყნებულ კვლევაში აღნიშნულია, რომ ინგლისსა და უელსში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ზრდა დაკავშირებულია, ერთის მხრივ, პოლიციის მიერ ჰომოფობიური მოტივით ჩადენილი დანაშაულების უკეთ იდენტიფიცირებასთან, ხოლო მეორეს მხრივ, საზოგადოებისა და სამართალდამცავების გაუმჯობესებულ კომუნიაციასთან. შესაბამისად, ოფიციალური მონაცემებით, ჰომოფობიის ზრდა და რადიკალური რელიგიური უმცირესობები ერთმანეთს არ უკავშირდება.



4. მედია მონიტორინგის ძირითადი მიგნებები

- დაკვირვების ქვეშ მყოფ ონლაინ მედია საშუალებებს შესაძლოა ქონდეთ შემდეგი მიზნები: 1) საქართველოს მოსახლეობაში ანტიდასავლური განწყობების გაღვივება და შესაბამისად, დასავლური ინსტიტუტების დისკრედიტაცია; 2) კრემლის პოლიტიკის მხარდაჭერა და პრორუსული გზავნილების გავრცელება; 3) ყალბი ინფორმაციისა და მანიპულაციების გავრცელებით საზოგადოებაში ირაციონალური შიშებისა და სიძულვილის დანერგვა;

- საქართველოში მოქმედ, სხვადასხვა ულტრამემარჯვენე ჯგუფებს შორის არსებობს ქსელური კავშირები და ეს გვერდები ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული სამოქმედო გეგმისა თუ სტრატეგიის ჩამოყალიბების პროცესში;

- იანვრის თვეში ულტრამემარჯვენე ჯგუფების რიტორიკაში შესამჩნევად იყო გააქტიურებული ამერიკის დემონიზაციის მცდელობა და ანტილიბერალური გზავნილები;

- სოციალურ და ონლაინ მედიაში მიმდინარე ულტრამემარჯვენე დისკურსი ხასიათდებოდა, ერთი მხრივ, ეთნონაციონალისტური თვისებებით, ხოლო, მეორე მხრივ, მკვეთრად პრორუსული გზავნილებით;

- ონლაინ მედიაში ულტრამემარჯვენე ჯგუფები ხშირად იყენებდნენ ყალბ კვლევებს და გადაუმოწმებელ ინფორმაციას;

- შესამჩნევი ტენდენცია იყო მანიპულაციებისა და დეზიფორმაციების გავრცელება დასავლეთის დისკრედიტაციის მიზნით;

- იანვრში ქართულ ულტრამემარჯვე დისკურსში შესამჩნევი იყო ანტისაიმიგრაციო კამპანია და ქსენოფობიური დამოკიდებულებების გაღვივება.